სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება #619
(ოქმი #535

თბილისი

2025 წლის 23 დეკემბერი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ 2025 წლის პერიოდის ფინანსური ნგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, საგადასახადო აუდიტის და განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის (გარე აუდიტი) ჩატარების გამო საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის დანიშვნასთან დაკავშირებით კონკურსის გამოცხადების შესახებ

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის თანახმად,

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ 2025 წლის პერიოდის ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, საგადასახადო აუდიტის და განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის (გარე აუდიტი) ჩატარების გამო საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის დანიშვნასთან დაკავშირებით გამოცხადდეს კონკურსი წინამდებარე გადაწყვეტილებაზე თანდართული განცხადების შესაბამისად.
2. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ განთავსდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ვებ-გვერდებზე.

დანართი: საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის დანიშვნასთან დაკავშირებით გამოცხადებული კონკურსის განცხადება 2 ფურცლად.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ვასილ მაღლაფერიძე

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

გრიგოლ მურღულია

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრები:

გიორგი კოხრეიძე

ზაზა აბაშიძე

თამილა დოლიძე Tamila Dolidze 61001042033 Digitally signed by Tamila Dolidze Date: 2025.12.23 17:46:05

ლიკა ბასილაია-შავგულიძე

სოსო სტურუა Soso Sturua 61002008062 Digitally signed by Soso Sturua Date: 2025.12.23 18:08:03

ბონდო მძინარაშვილი Bondo Mdzinarashvili 43001003838 Digitally signed by Bondo Mdzinarashvili Date: 2025.12.23 18:44:54

გიორგი იაკობიშვილი

ეზაბელა ოსიპოვა

ლაშა ტუღუში

განცხადება

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ 2025 წლის პერიოდის ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, საგადასახადო აუდიტის და განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის (გარე აუდიტი) ჩატარებაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭო ყოველწლიურად აცხადებს კონკურსს საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის მიერ, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ 2025 წლის პერიოდის ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, საგადასახადო აუდიტის და განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის (გარე აუდიტი) ჩატარებაზე. აუდიტორულ დასკვნასთან ერთად კომპანიამ უნდა წარმოადგინოს მოსაზრება საზოგადოებრივი მაუწყებლის და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2025 წლის ბიუჯეტების შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

საბოლოო აუდიტორული დასკვნის წარდგენამდე, არაუგვიანეს 2025 წლის 10 აპრილისა კონკურსში გამარჯვებულმა კომპანიამ სამეურვეო საბჭოს უნდა წარუდგინოს ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური აუდიტისა და საგადასახადო აუდიტის შუალედური დასკვნები - ცალ-ცალკე - საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოსთვის.

აუდიტორული მომსახურების ვადა აითვლება კონკურსში გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმების დღიდან. საბოლოო აუდიტორული დასკვნა, რომელსაც ასევე უნდა ახლდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის აუდიტის დასკვნა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს აუდიტის დასკვნა, წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, 4 ეგზემპლარად (მათ შორის, ელექტრონული ფორმით), **არაუგვიანეს 2026 წლის 20 აპრილისა** სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადმინისტრაციულ შენობაში (მის. ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N31).

გასათვალისწინებელია, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ორგანიზაციები, ფინანსურ ანგარიშგებას ყოველწლიურად წარუდგენენ სახაზინო სამსახურს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ ისტრუქციის (მუხლი 1(3)) შესაბამისად, წლიური ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვადად განსაზღვრულია მომდევნო წლის 1 აპრილი. ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსით წლიური დეკლარაციების წარდგენის ვადად განსაზღვრულია 1 აპრილი. მოცემულ თარიღამდე მიმდინარეობს წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გარე აუდიტის ჩატარების პროცესი კონკურსში გამარჯვებული აუდიტორული ფირმის მიერ უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ სამეურვეო საბჭოსთვის გარე აუდიტის საბოლოო დასკვნის წარდგენის ვადის დაცვით, 1 აპრილამდე შესრულდეს განხორციელებული შესყიდვების აუდიტი და სხვა სამუშაოები, ხოლო 1 აპრილიდან - ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, საგადასახადო აუდიტი. ამავე დროს, საზოგადოებრივი მაუწყებლის ბრუნვითი ბალანსი და შესაბამისი საბუღალტრო გატარებები კონკურსში გამარჯვებული კომპანიისთვის წარმოდგენილი იქნება 2026 წლის 15 მარტამდე, სადაც შესაძლებელია დაემატოს ან/და დაკორექტირდეს 100-მდე საბუღალტრო გატარება, რომელიც წარმოდგენილი იქნება 2026 წლის 1 აპრილამდე.

მოთხოვნები:

- რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

ზედამხედველობის სამსახურის აუდიტორული კომპანიების სახელმწიფო რეესტრში ვებ-გვერდზე saras.gov.ge და მინიჭებული უნდა ჰქონდეს სდპ აუდიტის უფლებამოსილება;

- აუდიტორული კომპანიის პირველი კატეგორიის საწარმოებთან მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება, სასურველია ტელე-რადიო მაუწყებლობის სფეროში;
- უნდა განახორციელოს 2025 წლის სსბასს-ების (IPSAS) შესაბამისად ნაწარმოები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგებების აუდიტი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად;
- უნდა უზრუნველყოს 2025 წელს ჩაბარებული საგადასახადო დეკლარაციების აუდიტი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა მოახდინოს შესაძლო რისკების იდენტიფიცირება და ცალკე ანგარიშის მომზადება;
- გარე აუდიტის სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს **74,200 (სამოცდა თოთხმეტი ათას ორასი ლარი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით**.

წინადადებების მიღების და შერჩევის პროცესი

წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს **2026 წლის 19 იანვრის 18.00 საათამდე**. წარმოდგენილ წინადადებაში მითითებული უნდა იყოს შესასრულებელი სამუშაოს სავარაუდო ღირებულება.

საკონკურსო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადმინისტრაციულ შენობაში (მის. ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N31) დალუქულ კონვერტში. კონვერტზე აღნიშნული უნდა იყოს კომპანიის დასახელება, საკონტაქტო მონაცემები და კონკურსის დასახელება, რომელზეც შემოტანილია განაცხადი.

წარმოდგენილი კონვერტების გახსნას, წარმოდგენილი განაცხადების განხილვას, შეფასებას, კონკურსში მონაწილე კომპანიების წარმომადგენლებთან გასაუბრებას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), გამარჯვებულის გამოვლენას და აუდიტორული კომპანიიის დანიშვნას ახორციელებს საბჭო თავის სხდომაზე.

საკონკურსო წინადადებების განხილვა იწყება წარმოდგენილი კონვერტების გახსნით.

საკონკურსო წინადადებების განხილვისას საბჭო ითვალისწინებს:

ა) აუდიტორული ფირმის შეთავაზებულ წინადადებებს;

ბ) აუდიტორული ფირმის გამოცდილებას;

გ) მომსახურების საფასურს.

წარმოდგენილი კონვერტების გახსნის შემდეგ გამარჯვებულის გამოვლენამდე სამეურვეო საბჭო ან/და მისი თავმჯდომარე უფლებამოსილნი არიან გასაუბრებისთვის მოიწვიონ კონკურსში მონაწილე აუდიტორული ფირმის უფლებამოსილი წარმომადგენლები ინფორმაციის დაზუსტება/განმარტებისათვის.

წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადების (მათში შემავალი დოკუმენტების, ასევე მონაწილე აუდიტორული კომპანიების უფლებამოსილი წარმომადგენლების ზეპირი დაზუსტებების/განმარტებების) განხილვის საფუძველზე საბჭო გამარჯვებულად აცხადებს აუდიტორულ ფირმას და თავისი გადაწყვეტილებით ნიშნავს მას მაუწყებლის გარე აუდიტის განმახორციელებელ აუდიტორულ ფირმად.

<u>გამარჯვებულად ცხადდება ყველაზე დაბალი ფასის შემომთავაზებელი აუდიტორული ფირმა, რომლის წინადადება და განაცხადი შეესაბამება კონკურსის ყველა მოთხოვნას.</u>

წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭო შეარჩევს და 2026 წლის 30 იანვრამდე გამოავლენს გამარჯვებულს.

საკონტაქტო ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, დაუკავშირდეთ საკონტაქტო პირს:

სამეურვეო საბჭოს აპარატის უფროსი ირინე ზაქარიაშვილი: მობ. 577 177 100